ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. #2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #157

2 აგვისტო 2012 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2012 წლის საშემოდგომო გაწვევის მიზნით გამწვევი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონოს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 43– ე მუხლის მე– 3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის 22– ე, 24–ე მუხლებისა და საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 23 ივლისის „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2012 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ N620 ბრძანებულების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეიქმნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2012 წლის საშემოდგომო გაწვევის მიზნით გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ანტონ ხუნდაძე – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე – კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ედიშერ სიხარულიძე – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციის და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის უფროსი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) დავით ჯინჭარაძე – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

დ) თეიმურაზ კოროშინაძე – შ.პ.ს „ადითის“ ჩოხატაურის ფილიალის დირექტორი – კომისიის წევრი;

ე) მანანა ჯინჭარაძე – ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი – კომისიის წევრი;

ვ) გოჩა თავაძე – შ.ს.ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამმართველოს საუბნო განყოფილების უფროსი – კომისიის წევრი;

ზ) მარინე დეკანოზიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციის და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის, წვევამდელთა აღრიცხვის და გაწვევის განყოფილების სპეციალისტი წვევამდელთა აღრიცხვის და გაწვევის საკითხებში – კომისიის მდივანი.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*